# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 91

„19" მარტი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №120-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118¹ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №120-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 10 მარტის №21.262.315 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №120-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, საინგილოს ქუჩა №120

| № | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ფართი (კვ.მ.) | სართული | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი მახარაძე | 18001005986 | 64,89 | სართული 1 | 01.17.02.059.072.01.501 |
| 2 | როინი ცერცვაძე | 18001008098 | 108,73 | სართული 2 | 01.17.02.059.072.01.504 |
| 3 | სერგო დათაშვილი | 01030012272 | 72.93<br>10.39 | სართული 1<br>სართული 2 | 01.17.02.059.072.01.502<br>01.17.02.059.072.01.505 |